



7963/3-118/21 2 27072021

7963/3-118/21

27-07-2021

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის შესაბამისად, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას, პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა აუცილებელია

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მიხედვით საქართველოს პარლამენტის წევრი უფლებამოსილია ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-საიტი - gov.ge არ ახდენს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას, არასრულად არის წარმოდგენილი 2020 წლის აქტები და დიდი ხანია 2021 წლის გრაფაში არც ერთი დოკუმენტი არ იძებნება.

არასრულად არის მთავრობის აქტები გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნეშიც - <https://matsne.gov.ge/>

გთხოვთ, განგვიმარტოთ მთელი წლის განმავლობაში რატომ არ განხორციელდა მთავრობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების გასაჯაროება, ოფიციალურ საიტებზე მათი განთავსების გზით.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბაზის დაუყოვნებლივი განახლება, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებები და დადგენილები საქართველოს მოქალაქეებისთვის. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იყოს საჯარო.

ასევე გთხოვთ, უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 20 ივლისამდე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების ასლები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ლევან ხაბეიშვილი

დ. ხაბეიშვილი